პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 102 (6167)

27 1978 წ. მაისი, შაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## კუს ტბის ირგვლივ...

## ამხანაგი ი. ვ. კაპიტონოვი საქართველოში

**საქართველოში** რამდენიმე დღეს იმყოფებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ვ. კაპიტონოვი.

ამხ. ი. ვ. კაპიტონოვი ეწვია აფხაზეთის ასს რესპუბლიკას, სადაც ესაუბრა პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებს. მას გააცნეს ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის მდგომარეობა, აფხაზეთის ასსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვის მიმდინარეობა. საუბარს დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე.

ამხანაგმა ი. ვ. კაპიტონოვმა სიტყვა წარმოთქვა აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის, აგრეთვე, სოხუმის საქალაქო პარტიული აქტივის კრებაზე.

თბილისში ყოფნის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ვ. კაპიტონოვი შეხვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებს, რომლებმაც უამბეს მას, თუ როგორ იბრძვიან რესპუბლიკის მშრომელები სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა, ხუთწლედის მესამე წლის გეგმებისა და დიდი სოციალისტური ვალდებულებების და მთლიანად ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის.

შემდეგ ამხ. ი. ვ. კაპიტონოვმა დაათვალიერა რესპუბლიკის დედაქალაქის ახალმშენებლობანი და ღირსშესანიშნაობანი.

საქართველოში ყოფნის დროს ამხ. ი. ვ. კაპიტონოვს ახლდნენ ამხ. ე. ა. შევარდნაძე და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

(საქინფორმი).





**ამას წინათ** თბილისის ბაზებზე — „ლოკომოტივის" სტადიონზე, დოსააფის ტირებში, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის აუზში და კუს ტბის მიდამოებში გაიმართა დედაქალაქის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების გუნდების პირველობა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში.

* * *

**სურათებზე:** კუს ტბის ირგვლივ კროსში ქალთა შეჯიბრების მომენტი; ხელყუმბარას ტყორცნის საქართველოს ნაკრების წევრი გ. ჯარაშნელი („შრომითი რეზერვები"); 100 მეტრზე მორბენლების სტარტი.

ო. გელაშვილის ფოტოები.



### მშვიდობის ველორბოლა

## მეცამეტედ

**ვარშავის** ქუჩებში გამართული ბოლო, 71-კილომეტრიანი ეტაპის გავლით (იგი პოლონელმა კ. სუიკამ მოიგო) დამთავრდა მშვიდობის 31-ე ველორბოლა. ამ შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მათ საერთო გუნდურ ჩათვლაში მეცამეტე, ხოლო ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იზეიმეს. პირად პირველობაში 24 წლის კუიბიშეველმა ა. ავერინმა აჯობა ყველას. იგი მეხუთე საბჭოთა ველოსიპედისტია, რომელმაც ამ არაოფიციალურ მსოფლიო პირველობაში გამარჯვებულის დაფნის გვირგვინი მოიპოვა.

ავერინმა მთელი ტრასის გავლას 46 საათი, 43 წუთი და 7 წამი მოანდომა. სამეულში შევიდნენ საბჭოთა ნაკრების დებიუტანტი ფსკოველი ი. ზახაროვი — 46:45.30 და რუმინელი მ. რომაშკანუ — 46:46.16. შარშანდელი ველორბოლის გმირი, ტარტუელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. პიკუუსი მეექვსე ადგილზეა — 46:47.33. მას სახსოვრად დაუტოვეს შეჯიბრების ყველაზე აქტიური მრბოლელის იისფერი მაისური. ათეულში შევიდა, აგრეთვე ჩვენი ნაკრების კაპიტანი კუიბიშეველი ა. გუსიატნიკოვი. იგი პიკუუსს 2 წუთზე ნაკლებით ჩამორჩა.

სსრ კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ზემოთ დასახელებულთა გარდა იყვნენ ლენინგრადელი ს. მოროზოვი და დუშანბელი ს. ჰუსეინოვი, ყველა ეტაპზე 140 საათი, 12 წუთი და 18 წამი დახარჯა.

### „ფეიქრის" ჩარმატება

**იალტაში** დამთავრდა პროფკავშირთა საკავშირო პირველობა კალათბურთი ცოცვაში. შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწია თბილისის სპორტკლუბ „ფეიქრის" გუნდმა, რომელმაც პირველობა მოიგო. პირად ტურნირში ამ კლუბის წევრმა ი. კრუპენინამ იმარჯვა ქალთა ასპარეზობაში.

## უმაღლესი ლიგა

### სტატისტიკის მოყვარულთათვის

მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილი ტურის ტექნიკური მონაცემები:

„ნეფთჩი" (ბაქო) — „ფახთაქორი" 0:2. ბურთები გაიტანეს ფიოდოროვმა (25-ე წუთი) და ბაკანოვმა (59).

„ჩერნომორეცი" — „დნეპრი" 2:0. ორივე ბურთი გატანილი იქნა შესვენების შემდეგ. ეს ჯერ გააკეთა შეპჩენკომ, ხოლო შემდეგ პლოსკინამ (11-მეტრიანი).

„არარატი" — „ქაირათი" 1:0. ერევნელებს გამარჯვება მოუტანა მირზოიანის მიერ რეალიზებულმა პენალტმა. გაფრთხილებულია ალმაათელი გოროხოვოდაცკი.

„დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) 0:0. გაფრთხილებული არიან მოსკოველი დოლმატოვი და კიეველი ონიშჩენკო.

ცსკა — „ტორპედო" 2:1. სამივე ბურთი გატანილ იქნა მეორე ტაიმში. ანგარიში 48-ე წუთზე გახსნა ბელენკოვმა, შემდეგ პეტროსიანმა მეორედ აიღო ტორპედოელთა კარი, რომლებმაც მხოლოდ მატჩის დასასრულს დაალწიეს თავი „მშრალი" ანგარიშით დამარცხებას (გრიშინი).

## I ლიგა

**25 მაისს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი შეხვედრები: „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — ასკ (დონის როსტოვი) 1:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 1:1, „დინამო" (ლენინგრადი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 0:2, „დინამო" (მინსკი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 2:1, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „კუზბასი" (კემეროვო) 3:0, „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 2:1, ასკ (ოდესა) — „თერგი" (გროზნო) 2:1, „კარპატი" (ლვოვი) — „კოლხოზჩი" (აშხაბადი) 1:0, „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) — „პამირი" (დუშანბე) 2:1.

## ფეხბურთი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი" | 10 | 6 | 3 | 1 | 17—7 | 15 |
| „ნისტრუ" | 10 | 6 | 2 | 2 | 14—10 | 14 |
| „კრ. სოვეტ". | 10 | 6 | 2 | 2 | 13—6 | 14 |
| „ტორპედო" | 10 | 5 | 3 | 2 | 17—12 | 13 |
| „დინამო" მნ. | 11 | 5 | 3 | 3 | 17—12 | 13 |
| „კარპატი" | 10 | 5 | 2 | 3 | 13—10 | 12 |
| „ტავრია" | 10 | 4 | 4 | 2 | 18—11 | 12 |
| ასკ რ. | 10 | 4 | 4 | 2 | 16—11 | 12 |
| „ჟალგირისი" | 11 | 3 | 6 | 2 | 14—11 | 12 |
| „თერგი" | 11 | 5 | 1 | 5 | 14—17 | 11 |
| „შინიკი" | 11 | 3 | 5 | 3 | 8—11 | 11 |
| „სპარტ". ი.-ფ. | 10 | 4 | 2 | 4 | 9—15 | 10 |
| „კუზბასი" | 10 | 4 | 1 | 5 | 11—11 | 9 |
| „პამირი" | 11 | 1 | 7 | 3 | 7—10 | 9 |
| „სპარტ". ორ. | 11 | 3 | 2 | 6 | 9—12 | 8 |
| „ურალმაში" | 10 | 3 | 1 | 6 | 6—13 | 7 |
| ასკ ოდ. | 10 | 2 | 3 | 5 | 9—13 | 7 |
| „კოლხოზჩი" | 11 | 1 | 5 | 5 | 8—14 | 7 |
| „მეტალურგი" | 10 | 1 | 5 | 4 | 7—13 | 7 |
| „დინამო" ლ. | 11 | 1 | 3 | 7 | 10—18 | 5 |

## II ლიგა, IV ზონა

**24 და 25 მაისს** გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები:

### „დინამო" (ბათუმი) — „დინამო" (ზუგდიდი) 0:0

წინა ტურში განცდილი მარცხის შემდეგ ბათუმის დინამოელები 2 ქულის აღების აუცილებლობის წინაშე იმყოფებოდნენ. გუნდს ესაჭიროებოდა სატურნირო მდგომარეობის გამოსწორება, რისთვისაც მას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ზუგდიდელებმა კარგად წარმართეს თამაში და შეძლეს ქულა მიემატებინათ თავიანთი აქტივისთვის.

დასაწყისში უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ. ანგარიშის გახსნა შეეძლო კაკალაძეს, მაგრამ კარგად ითამაშა ზუგდიდელთა მეკარე კვარაცხელიამ, შემდეგ ბეჟანიძემ ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მდგომარეობა.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა დაკარგეს ინიციატივა. მათი თავდამსხმელები მოქმედებდნენ მოკლე გადაცემებით, ზედმეტად აჩერებდნენ ბურთს, სტუმრები კი სულ უფრო ხშირად ჩნდებოდნენ მეტოქის ნახევარზე. 70-ე წუთზე გუნია პირისპირ გავიდა ბათუმელთა მეკარე სურგულაძესთან, მაგრამ ამ უკანასკნელმა შეძლო კარის ხსნა. 90 წუთის განმავლობაში გოლის გატანა არ მოხერხდა.

ო. მურვანიძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ავტომობილისტი" (ბაქო) — „ტორპედო" (ტოლიატი) 1:0, „პროგრესი" (კიროვაბადი) — „გაზოვიკი" (ორენბურგი) 1:0, „ტურბინა" (ნაბერეჟნიე ჩელნი) — „გასტელო" (უფა) 3:0, „ზვეზდა" (პერმი) — „ზენიტი" (იჟევსკი) 1:0, „ურალეცი" (ნიჟნი ტაგილი) — „რუბინი" (ყაზანი) 0:2, „დინამო" (კიროვი) — „დრუჟბა" (იოშკარ-ოლა) 1:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „ხაზარი" (ლენქორანი) 1:0, „ყარაბაღი" (სტეფანაკერტი) — „არაზი" (ნახიჩევანი) 5:0, „გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (სოხუმი) 3:2, „დილა" (გორი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 2:2.

## პროფკავშირთა სპარტაკიადა

# სახელდახელოდ...

პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების წლევანდელი სპარტაკიადის საგაზაფხულო ტურნირზე მოჭიდავეთა ბოლო სახეობა ძიუდო იყო. სამწუხაროდ, მონაწილე კოლექტივების უმეტესობა თბილისის „ლოკომოტივის" დარბაზში გამართულ ასპარეზობას აშკარად მოუმზადებელი შეხვდა. განაცხადები სახელდახელოდ იყო შედგენილი, ამიტომაც აწონვაზე ყველა სპორტსმენის გამოცხადება ვერ უზრუნველყვეს, ხოლო მათ, ვინც ასევე სახელდახელოდ მოძებნეს და საასპარეზოდ მოიყვანეს, ან წონა ვერ დაიცვეს, ან ძალიან უსუსურად იჭიდავეს.

ეს იყო იმის მიზეზიც, რომ ცალკეულ წონებში ძალები აშკარად უთანაბრო გამოდგა. მძიმე წონით კატეგორიაში ნ. ნუგზარიშვილმა („ბურევესტნიკი") ფინალამდე ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო. მოსალოდნელი იყო, რომ

## ძიუდო

ვ. გუმაშვილი („კოლმეურნე"), რომელიც ასევე ფინალში გავიდა, მეტოქეს ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდა, მაგრამ გულშემატკივრებს მოლოდინი არ გაუმართლდათ, ნუგზარიშვილმა გადამწყვეტი ორთაბრძოლაც დიდი უპირატესობით ჩაატარა და მეტოქე დაამარცხა ანგარიშით 10:0.

ასევე აშკარა იყო 95 კგ წონაში ბ. გოგიჩაშვილის („განთიადი") ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობა. იგი ფინალამდე ისე მივიდა, რომ მოწინააღმდეგეებისთვის ამოსუნთქვის საშუალება არ მიუცია და ბოლოს, პირველი ადგილისთვის ბრძოლაში სტუდენტთა გუნდის წევრი ტ. მუთოშვილიც იოლად დაამარცხა.

საინტერესო გამოდგა 60 კგ წონის ძიუდოისტებს ფ. მარგიანსა („კოლმეურნე") და მ. მჭედლიშვილს („განთიადი") შორის გამართული ფინალური შეხვედრა. მჭედლიშვილმა ძალზე აქტიურად დაიწყო და ერთ-ერთ მომენტში „კოკაც" მიიღო, მაგრამ შემდეგში უპირატესობა ველარ შეინარჩუნა, მარგიანმა ორი „კოკა" გააკეთა და გამარჯვებაც მას დარჩა.

შეიძლება გამოვყოთ აგრეთვე ი. ობგაიძე — გ. ნაკანისა და გ. შინჯიკაშვილ — ზ. კეთილაძის შეხვედრები.

გუნდურ ტურნირში სტუდენტებმა ყველაზე მეტი (60) ქულა მოაგროვეს. მათ ექვსი პრიზიორი ჰყავთ. აქედან სამი ჩემპიონი გახდა. „ბურევესტნიკმა" 11,5 ქულით ჩამოიტოვა „კოლმეურნე", რომელმაც თავის მხრივ „სპარტაკს" ნახევარი ქულით აჯობა. მომდევნო ადგილებზე არიან „განთიადი" — 48 ქულა, „ლოკომოტივი" — 41, „ვოდნიკი" — 19,5 და „შრომითი რეზერვები" — 19.

პირად ტურნირში პრიზიორები გახდნენ:

**60 კგ.** ფ. მარგიანი („კოლმეურნე"), მ. მჭედლიშვილი („განთიადი"), ზ. რიკაძე („შრომითი რეზერვები") და ე. კულუმბეკოვი („სპარტაკი").

**65 კგ.** ი. ობგაიძე („ბურევესტნიკი"), გ. ნაკანი („სპარტაკი"), ო. ბესტაევი („განთიადი") და თ. გულიშვილი („კოლმეურნე").

**71 კგ.** გ. შინჯიკაშვილი („კოლმეურნე"), ზ. კეთილაძე („ბურევესტნიკი"), გ. ხოსიშვილი („შრომითი რეზერვები") და გ. ქენქაძე („სპარტაკი");

**78 კგ.** ნ. ვათიაშვილი („ბურევესტნიკი"), ა. რუბაშვილი („ლოკომოტივი"), ა. სინჯარაძე („კოლმეურნე") და გ. გაგლოშვილი („სპარტაკი");

**86 კგ.** ო. გურასპაშვილი („ლოკომოტივი"), გ. არსენიშვილი („სპარტაკი"), ფ. გასიტაშვილი („ბურევესტნიკი") და რ. სიდამონიძე („განთიადი");

**95 კგ.** ბ. გოგიჩაშვილი („განთიადი"), ტ. მუთოშვილი („ბურევესტნიკი"), ზ. ხუციშვილი („ლოკომოტივი") და გ. შერაზადიშვილი („სპარტაკი");

**95 კგ-ს ზევით.** ნ. ნუგზარიშვილი („ბურევესტნიკი"), ვ. გუმაშვილი („კოლმეურნე"), გ. წიკლაური („განთიადი") და გ. კოხოძე („სპარტაკი").

ჯ. ქვარცხავა.

## ნიჩბოსნობა

# იქ, კრილატსკოეზე

**ახლა** აკადემიური ნავებით ნიჩბოსანთა ყველა რანგის შეჯიბრება ერთი — სასპარტაკიადო საზომით იზომება, ყველა სტარტში მოწმდება ვინ როგორ ემზადება საგაისო დიდი ტურნირისთვის, რით შეუძლია წარდგეს სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე. ყველგან, სადაც ეს სახეობაა განვითარებული, ცდილობენ ხელიდან არ გაუშვან ძალთა გამოცდის შესაძლებლობა. ვალში არც საქართველოს ნიჩბოსნები რჩებიან. ამას წინათ მათ ორ საკავშირო რეგატაში იასპარეზეს და ორივეგან შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

კალინინში ა. ნიკიტინის პრიზის გათამაშებაში შარშან ჩვენი რესპუბლიკის 6 ეკიპაჟი მონაწილეობდა. ფინალში კი მხოლოდ ერთმა ნავმა გააღწია. წლეულს იქ საასპარეზოდ ხუთი ნავი ჩავიდა და ფინალურ გაცურვებში მონაწილეობის უფლება სამმა მოიპოვა. ქალთა შორის უმესაჭო ორადგილიანმა (მომსმელი ე. წენგუაშვილი) მეექვსე შედეგი აჩვენა, ვაჟთა შორის კი უმესაჭო ოთხადგილიანებით რბოლაში (მომსმელი ნ. პიყოვი) საქართველოს ნიჩბოსნები მეოთხენი იყვნენ, ხოლო ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი (ა. ბართია) — მეხუთე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საკავშირო რეგატაში ექვსი დიდი სპორტსაზოგადოების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ, საქართველოს სპორტსმენების გამოსვლა დამაკმაყოფილებელია.

ზუსტად იმავე დღეებში მოსკოვის სანიჩბოსნო არხში გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული რეგატა მიმდინარეობდა. იქ ჩვენი რესპუბლიკის სამი ნაკრები ეკიპაჟი ცდიდა ძალას. განსაკუთრებით გაგვახარეს შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეებმა, რუსთაველმა სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა, 17 წლის ვ. კავერიაინენმა და 16 წლის ი. ეფიმოვამ (ორივე — „განთიადი"), რომლებსაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბ. ვაისბერგი და ახალგაზრდა სპეციალისტი დ. ლოლუა ავარჯიშებენ.

ორადგილიანი წყვილმოსასმელიანებით 1000 მეტრზე შეჯიბრების ერთ-ერთ ნახევარფინალში მათ საუკეთესო დრო (3.40,0) აჩვენეს და და 1,2 წამით ჩამოიტოვეს ქვეყნის ქალაქებისა და სპორტსაზოგადოებების წარმომადგენელთა ნაკრები ეკიპაჟი, უფრო მეტით — ლენინგრადის „სპარტაკის", რიგის „დაუგავას", ლიტვის, უკრაინისა და სხვა ეკიპაჟები. მათი მაჩვენებელი ვერც მეორე ნახევარფინალურ გაცურვაში გამარჯვებულმა უკრაინის პროფკავშირების ოლიმპიური ცენტრის სპორტსმენებმა გააუმჯობესეს.

საღამოს ფინალები გაიმართა. საქართველოს ქალთა ორადგილიანს ასეთი წარმატებისთვის არასდროს მიუღწევია. შესაძლოა გოგონებს ამანაც აალელვა, რომ ფინალში ბრძოლა გაუბედავად დაიწყეს და ჩამორჩნენ, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა გამოასწორეს: მათ საბოლოოდ II ადგილი დაიკავეს და პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატობა.

კავერიაინენი და ეფიმოვა წევრები არიან საქართველოს ოლიმპიური რეზერვის ცენტრისა, რომელიც თბილისის სპორტკომიტეტის ცენტრალური წყალჯომარდობის ბაზაზე არის შექმნილი. ბაზის დირექტორი ა. მხეიძე ნიჩბოსნებს წვრთნის ყველა პირობას უქმნის და შედეგმაც არ დააყოვნა.

კავერიაინენი და ეფიმოვა სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატებად ჩარიცხეს და „მეგობრობის რეგატაში" საასპარეზოდ დაუშვეს. ეს შეჯიბრება კიევში გაიმართება: იქ წარმატების შემთხვევაში გოგონებს ევროპის ჩემპიონატის გზა ეხსნებათ.

ვ. შარვაშიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

• • •

კიევში გამართულ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის ნიჩბოსნებმა ფინალში მეექვსე ადგილი დაიკავეს. სსრ კავშირის ნაკრების ხელმძღვანელობამ ეფიმოვა და კავერიაინენი ქვეყნის გუნდში მაინც ჩარიცხა, რადგან დაადგინა, რომ გოგონების ამ ერთგვარი წარუმატებლობის მიზეზი გახლდათ მოულოდნელი შემთხვევა, რამაც რუსთაველი სპორტსმენების ნავი დააზიანა.

წინ მოსკოვის დიდი რეგატაა (1-4 ივნისი). ჩვენი ნიჩბოსნები ამ შეჯიბრებაშიც ცდიან ძალებს.

## წერილის კვალდაკვალ

### „ამბავი უკუღმა დატრიალებული წისქვილისა"

ამ სათაურით „ლელოს" 30 მარტის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო თბილისის უმაღლესი ლიგის რეგბისტთა გუნდის „ელვას" გასაჭირზე, იმაზე, რომ გუნდს არა აქვს საწვრთნელი მინდორი, დარბაზი, სპორტული ინვენტარი და სავარჯიშო ფორმა.

რედაქციამ მიიღო „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის ა. გიორგობიანის პასუხი, რომელშიც ნათქვამია: „გასულ, 1977 წელს გუნდის წევრებს დაურიგდათ ორ-ორი წყვილი საწვრთნელი ფეხსაცმელი და შალის სავარჯიშო კოსტუმი, მიმდინარე წელს კი გუნდის სპორტული ფორმით სრული უზრუნველყოფა ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება, რადგან „განთიადის" ცენტრალურ საბჭოს ლიმიტის უქონლობის გამო ვერ შეუძენია გუნდისთვის საჭირო სპორტული ფორმა და ინვენტარი".

პასუხში აგრეთვე ნათქვამია, რომ „განთიადისა" და საწარმოო გაერთიანება „ელვას" ხელმძღვანელები არაფერს იშურებენ რეგბისტთა უმაღლესი ლიგის გუნდისათვის (შეკრების ჩატარება წლის განმავლობაში, სამივლინებო ხარჯები კალენდარულ შეხვედრებზე, სპორტული ფორმის შესაძენი და იჯარის თანხები), მაგრამ აქვე სარგებლობენ შემთხვევით და სთხოვენ შესაბამისი ზემდგომი ორგანოებისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ხელმძღვანელობას (რომლის მინდორზეც ვარჯიშობს გუნდი), რომ მათაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ „ელვას" გუნდს და საკუთარი წვლილი შეიტანონ ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ამ მშვენიერი სახეობის შემდგომი განვითარების ეროვნულ საქმეში.

## ცხენოსნობა

# ასპარეზობენ ჭაბუკები

**ოჩამჩირეში** დამთავრდა საქართველოს პირველობა ცხენოსნობაში ჭაბუკ სპორტსმენთა შორის. პროგრამაში იყო კლასიკური სახეობები — დაბრკოლებათა გადალახვა, ცხენის გაწვრთნა, სამჭიდი. მონაწილეობდნენ თბილისის, ოჩამჩირის, გუდაუთის, გალის, გულრიფშის, ფოთის ცხენოსნები.

კონკურში „გახსნის პრიზზე" პირველობა მოიპოვა თბილისელმა ს. პონომარიოვმა. მეორე იყო ფოთელი გ. კოკაია.

ასპარეზობაში კარგად გამოვიდა თბილისის 51-ე სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე, სპორტის ოსტატობის კანდიდატი კ. გეგეჭკორი (მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ნ. ხუციშვილი). მან ჩემპიონის სახელი მოიპოვა დაბრკოლებათა გადალახვაში „ამორჩევით". მანვე მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა კონკურში „გახსნის პრიზზეც". ცხენის გაწვრთნაში ყველას აჯობა თბილისელმა ს. გოლოვინმა (ცხენი „დუელიანტი"). სამჭიდელთა შორის პირველი იყო გუდაუთელი ზ. თორია, მეორე — ოჩამჩირელი ა. სამველიანი, მესამე — თბილისელი შ. ჩოპაძე.

დაბრკოლებათა გადალახვაში „საქართველოს თასზე", რომელიც ორ გიტად ჩატარდა, პირველობა დაისაკუთრა თბილისელმა ს. პონომარიოვმა, მეორე ადგილზე გავიდა გუდაუთელი ბ. დაუტია, მესამეზე — მისივე თანაგუნდელი ლ. გოჩუა.

ამრიგად, გუნდური პირველი ადგილი დაისაკუთრეს თბილისელმა ცხენოსნებმა — 196,25 ქულა. მეორეზე არიან გუდაუთელები — 170,5, მესამეზე — ოჩამჩირელები (111). საუკეთესო ჭაბუკი ცხენოსნები მონაწილეობას მიიღებენ სოფლის თამაშების მესამე საკავშირო ასპარეზობაში, რომელიც ივნისში მოლდავეთის ქალაქ უნგენში გაიმართება.

ნ. სიჲინავა.

## [illegible]

### ზესტაფონი

დამთავრდა რაიონის მოჭადრაკე ვაჟთა პირველობა, რომელშიც 10 კაცი მონაწილეობდა. I-II ადგილები გაიყვეს ინჟინრებმა ჰ. ვასაძემ (ფეროშენადნობთა ქარხანა) და ჯ. მახათაძემ (საქკაბელის ქარხანა) — 8-8 ქულა. დამატებით მატჩში ჩემპიონის სახელისათვის გაიმარჯვა ვასაძემ — 3,5:0,5.

გ. ფორჩხიძე.

# იმედიანი მოჭიდავე

**ამბობენ:** საქართველოში ჭიდაობა მაშინ ჩაისახა, როცა პირველი ქართველი დაიბადაო. ეს მოსაზრება, ერთი შეხედვით გაზვიადებული რომ გვეჩვენება, ჭეშმარიტებისგან შორს როდი დგას. ქართველი კაცი ხომ ოდითგანვე გამოირჩეოდა ვაჟკაცობითა და სიჩაუქით, მოხერხებულობითა და გამბედაობით. ჭაბუკს, ვისაც მკლავი და მუხლი ერჩოდა, ლამის სისხლში ჰქონდა გამჯდარი სპორტის ამ რაინდული სახეობის სიყვარული. მართალია, დრომ თავისი მოიტანა, ერთგვარად განელდა ინტერესი ეროვნული სპორტის საუნჯისადმი, მაგრამ ბოლო დროს საქმეს კარგი პირი უჩანს და ქართული ჭიდაობაც აღორძინების გზაზე დგას. ქართლის სოფლებში ისევ ძალუმად გაისმის ზურნისა და დოლის ხმა, ისევ ძიძგილაობენ ნახერხმოყრილ წრეში კანჭა ბიჭები. გამონაკლისი არც კასპის რაიონის სოფელი იგოეთია. სწორედ აქაურ საჭიდაოზე აიდგა ფეხი **ამირან ობგაიძემ**, რომელიც შემდგომ ძიუდოს ანბანს ეზიარა და თვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწია.

ამირანმა პირველი ნაბიჯები საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ლავრენტი კაციაშვილის ხელმძღვანელობით გადადგა. იგი ჯერ სამბისტთა შეჯიბრებებში გამოდიოდა, „კოლმეურნეს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონიც გახდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ძიუდო ირჩია და არც შემცდარა. მკვრივად შეკრული, ჭმუხი და ზვიადი ჭაბუკი მალე საქართველოს ნაკრების წევრი გახდა და რესპუბლიკურ თუ საკავშირო ტურნირებში და ჩემპიონატებში ბევრი მედალი და ჯილდო მოიპოვა, ორჯერ გაიმარჯვა ძიუდოისტთა თბილისის ტრადიციულ ტურნირში, მაგრამ ყველაზე დიდი წარმატება მაინც ევროპის 1977 წლის ჩემპიონატში მოპოვებული გუნდური პირველი ადგილი იყო. ამ წარმატებისთვის ამირანს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა.

ა. ობგაიძე ცხოვრებაში ერთობ ჩუმი და მოკრძალებულია, მაგრამ სულ სხვაა ხალიჩაზე — სპორტული აზარტით შეპყრობილი, ფიცხი და უკომპრომისო. იგი ჭიდაობის ორიგინალური ხელწერით გამოირჩევა, დოგა-დოგა მიდის მეტოქეზე და მუდამ ბოლომდე იბრძვის. მართალია, ხაგულისხმო გამარჯვებებთან ერთად, მარცხიც არაერთხელ იწვნია, მაგრამ როგორც საქმეში ჩახედული სპეციალისტები ამტკიცებენ, ამ ჭაბუკს ჯერ არ უთქვამს თავისი სიტყვა. მთავარი ისაა, რომ მას თავდავიწყებამდე უყვარს ჭიდაობა.

— ამირან, თქვენ ასობით ორთაბრძოლა გაგიმართავთ, რომელია თქვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი?

— თბილისის 1977 წლის საერთაშორისო ტურნირში ევროპის ჩემპიონს, გერმანელ ძიუდოისტ რაისმანს შევხვდი. იგი გამოცდილი და ღირსეული მეტოქეა. მით უფრო სასიხარულო იყო მასთან გამარჯვება.

— ვინ არის თქვენი იდეალი ძიუდოში?

— ცალკე რომელიმე სპორტსმენის გამოყოფა მიძნელდება. თანამემამულეებიდან დავასახელებ ანზორ კიკნაძეს, ანზორ მარტყოფლიშვილს, გივი ონაშვილს, შოთა ჩოჩიშვილს, რამაზ ხარშილაძეს — ხომ ხედავთ რამდენი ექსტრა-კლასის ძიუდოისტი აღზარდა საქართველომ. უცხოელებიდან ინაკუმას, გეეზინკასა და რიუსკას გამოვყოფ. თბილისის წლევანდელ საერთაშორისო ტურნირზე პირდაპირ მოვიხიბლე იაპონელი იასიკორო იამასიტას ჭიდაობით. ჩემის აზრით იგი ერთობ ახლოს დგას იდეალთან.

— „მოსკოვი-80"-ზე რას იტყვით?



— მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ყველა ქვეყნის სპორტსმენის ოცნებაა. მეც გულით მსურს ოლიმპიურ ტატამზე ვიასპარეზო. 1976 წელს ტრავმამ შემიშალა ხელი და მონრეალში ვერ გავემგზავრე, ამიტომ 1980 წელს სხვა თვალით ვუყურებ. ვიცი, რომ ეს ძნელი საქმე იქნება, მაგრამ უკან დახევას მაინც არ ვაპირებ. მერე ალბათ დავემშვიდობები დიდ სპორტს და ჩემი სპეციალობით დავიწყებ მუშაობას, მე ხომ აგრონომი ვარ...

მაია ჩადუნელი.

• • •

სურათზე: ა. ობგაიძე.

### მასწავლებელთა შორის

მოეწყო ადიგენის რაიონის სკოლების მასწავლებელთა პირველობები ჭადრაკსა და შაშში. მოჭადრაკეთა შორის გაიმარჯვა ა. აბულაძემ, მოშაშეთა პაექრობაში — ქ. მარტიშვილმა.

მ. კაჭკაჭიშვილი,
სოფ. ღელოვნის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

# ფეხბურთი

## ...ევროპის ჩემპიონატი დაიწყო

...სტარტი აიღო ევროპის საფეხ-...თო ჩემპიონატმა, რომლის ფი-...ური შეხვედრები 1980 წლის ...ნისში ჩატარდება იტალიაში. ჩე-...იონატი გაიხსნა ჰელსინკში შე-...ხვედრით ფინეთისა და სა-...ბერძნეთის გუნდებს შორის (VI ...ჯგუფი).

...ფინელებმა გაიმარჯვეს დიდი ...ანგარიშით — 3:0. მათგან თავი გა-...გამოიჩინა 21 წლის ატიკ ისმაილმა, ...რომელმაც გაიტანა 2 გოლი. მესა-...მე ბურთის ავტორია ნიემინენი.

...ამ ჯგუფში გამოდიან, აგრეთვე, ...საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის გუნ-...დები. საბჭოთა ფეხბურთელები 20 ...სექტემბერს შინ მიიღებენ ბერძ-...ნებს, 11 ოქტომბერს კი ითამაშე-...ბენ უნგრეთში.

## საქართველოს პირველობა

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 25 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „...იური“ | 15 | 10 | 3 | 2 | 26—11 | 23 |
| „...მეშახტე“ | 14 | 10 | 3 | 1 | 19—5 | 23 |
| „...ოლხ“. ფ. | 15 | 10 | 2 | 3 | 29—7 | 22 |
| „...რცხალი“ | 15 | 8 | 6 | 1 | 23—8 | 22 |
| „...ტალ“. რ. | 15 | 9 | 4 | 2 | 23—10 | 22 |
| „...მირანი“ | 17 | 7 | 4 | 6 | 13—18 | 18 |
| „...ღაროელი“ | 13 | 8 | 1 | 4 | 24—15 | 17 |
| ...ინსტ. | 14 | 7 | 2 | 5 | 21—22 | 16 |
| „...ოლხ.“ ხ. | 15 | 5 | 6 | 4 | 9—11 | 16 |
| „...ხურა“ | 14 | 5 | 5 | 4 | 18—13 | 15 |
| ... თბ. | 15 | 3 | 8 | 4 | 13—14 | 14 |
| „...არტ“. თბ. | 15 | 5 | 4 | 6 | 16—19 | 14 |
| „...ერია“ ხ. | 15 | 5 | 4 | 6 | 10—15 | 14 |
| ...ლ. ინსტ. | 16 | 6 | 1 | 9 | 23—22 | 13 |
| „...რგეტ“. | 15 | 5 | 3 | 7 | 16—20 | 13 |
| „...ლხინო“ | 16 | 3 | 6 | 7 | 16—27 | 12 |
| „...დიკვარი“ | 14 | 3 | 5 | 6 | 14—19 | 11 |
| „...არტ“. ცხ. | 15 | 3 | 4 | 8 | 14—16 | 10 |
| „...ჯური“ | 15 | 3 | 4 | 8 | 16—21 | 10 |
| „...რისი“ | 16 | 2 | 6 | 8 | 7—21 | 10 |
| „...ურუჯი“ | 14 | 4 | 2 | 8 | 11—26 | 10 |
| „...ერია“ ქ. | 16 | 4 | 2 | 10 | 13—30 | 10 |
| „...ტალ“. ზ. | 15 | 3 | 3 | 9 | 17—21 | 9 |

#### II ჯგუფი

##### I ზონა

„გიგანტი“ (გამარჯვება) — „იო-...ი“ (თიანეთი) 1:2, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ალაზანი“ (გურჯაა-...ნი) 0:0, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 2:2, „ქა-...თლი“ (გორის რაიონი) — „თრი-...ალეთი“ (წალკა) 8:1, „განთიადი“ (თბილისი) — „აბული“ (ახალქალა-...ქი) 2:2, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „არაგვი“ (მცხეთა) 1:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „განახლება“ (ადი-...გენი) 1:1, „ვარძია“ (ასპინძა) — „...იონი“ (ბოლნისი) 1:0, „ფიჩხო-...ვანი“ (ახმეტა) — „მესხეთი“ (ახა-...ლციხე) 0:1, თბილისის „ტაქსომო-...ტორს“ გამარჯვება ჩაეთვალა აწ-...ყურის „სამცხესთან“.

##### II ზონა

„მეშაქრე“ (აგარა) — „ავტომო-...ბილისტი“ (აბაშა) 1:1, „ჩამომსხმე-...ლი“ (ბორჯომი) — „ავტომობი-...ლისტი“ (მაიაკოვსკი) 2:1, „იმერე-...თი“ (წულუკიძე) — „ავტომობილ-...ისტი“ (ბათუმი) 6:0, „შუქურა“ (ქობულეთი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 3:1, „სულორი“ (ვა-...ნი) — „ოჯალეში“ (ზანძა) 4:1, „ნა-...ბადული“ (ჩხოროწყუ) — „მახ-...ვილაური“ (ტყვარჩელი) 3:0, „ავტო-...მობილისტი“ (გაგრა) — „მექალა-...დე“ (ზუგდიდი) 1:0.

### საჯარიმო ფურცელი

განვლილ მატჩებში გაფრთხი-...ლებები მიიღეს შემდეგმა ფეხბუ-...რთელებმა: რ. ღურწკაიამ („კოლ-...ხეთი“, ფოთი), ა. კვახხაძემ („სპა-...რტაკი“, თბილისი), ა. ჩოლოხიანმა („აბული“, ახალქალაქი), ვ. არზია-...ნმა („იმერეთი“, წულუკიძე).

●

### სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემ-...პიონატი. 27 მაისი. ასკ-ს სტადიო-...ნი: ასკ (თბილისი) — „სპარტაკი“ (თბილისი). დასაწყისი 12 ს. პო-...ლიტექნიკური ინსტიტუტი — „ჩი-...ხურა“ (საჩხერე). 14 ს. დიმიტრო-...ვის სახ. საავიაციო ქარხნის სტა-...დიონი. ფიზკულტურის ინსტიტუ-...ტი (თბილისი) — „იგრისი“ (ცხა-...კაია). 15 ს.

კრივის მოყვარულთა კუთხე

# პირველი ზანგი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი



ჯეკ არტურ ჯონსონი

●

1908 წლამდე ურყევი იყო თეთრკანიანთა ჰეგემონია კრივში. მართალია იყვნენ შესანიშნავი ზანგი მოკრივენი პიტერ ჯეკსონი, სემ მაკფი, ჯო ჯინიეტომი და სხვანი, მაგრამ მათგან ვერცერთმა ვერ მიაღწია მსოფლიო ჩემპიონობას.

პირველი ზანგი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი კრივის სამყაროს მოევლინა 1908 წლის 26 დეკემბერს, დიდი მოკრივე ჯეკ არტურ ჯონსონის სახით, რომელმაც სძლია მაშინდელ ჩემპიონს, ცნობილ ტომ ბერნსს.

ბრძოლის დაწყების წინ ჯონსონმა ზრდილობიანად გაუწოდა ბერნსს ხელი და უთხრა: „მადლობა ღმერთს, როგორც იქნა შევხვდით“. ამაზე ბერნსმა მიუგო ყველაზე ბილწი კანადური ლანძღვით: „ყვითელი ძაღლი“ უწოდა ჯონსონს. არც ჯონსონი დარჩენია ვალში. მოახვედრებდა თუ არა მეტოქეს მუშტს, „ეს ყვითელი ძაღლისგანო“, მისძახოდა.

კრივის ისტორიაში იშვიათად მოიძებნება ჯონსონის დარი ტყავის ხელთათმანის ოსტატი. სპორტის ამ სახეობისთვის თითქოს საგანგებოდ შობილი, ანტიური ბარბაროსის მსგავსი ეს მოკრივე 183 სმ სიმაღლისა იყო და იწონიდა 91 კგ-ს. ჯონსონი გახლდათ ფართობეჭებიანი, ვიწროწელიანი ათლეტი, განვითარებული გულმკერდითა და შედარებით თხელი ფეხებით. გასაოცარი კუნთური რეაქცია, მოძრაობათა თანდაყოლილი სრულყოფილი კოორდინაცია, საკვირველი სისწრაფე, მახვილი თვალი, დარტყმებისადმი უგრძნობლობა. ყველა ამ თვისებებს თან ერთვოდა დიდი საზრიანობა და გაწაფულობა კრივის ხერხებში. ჯონსონი ვერ ჩაითვლება შემტევ, ჯიქურ მებრძოლად. მას არც ძლიერი დარტყმა ჰქონდა. იგი მოწინააღმდეგის შეცდომებზე აგებდა ბრძოლას და მხოლოდ მაშინ აამოქმედებდა თავის მარცხენა ჰუკსა და მარჯვენა აპერკოტს, როცა საშუალება ეძლეოდა ჩართულიყო ახლო მანძილზე ბრძოლაში. ჯონსონის ბადალი ძნელად მოიძევებოდა გრძელ დისტანციაზე ბრძოლაშიც. მას, როგორც სპეციალისტები წერენ, შეეძლო ჩაეხშო მოწინააღმდეგის მოძრაობა „მკვდარ მდგომარეობაში“. ე. ი. მაშინ, როცა მოწინააღმდეგე უპირებდა დარტყმას, ოღონდ ჯერ არ წამოეწყო იგი. „ზანგი მოკრივე „ჩოპით“ (მოკლე მანძილზე გამოსაყენებელი პირდაპირი დარტყმა, მუშტი შებრუნებულია ხელისგულით ზემოთ) დაუბოშებდა მოწინააღმდეგის ბიცეპსს, მერე კი რაღაც მანქანებით ახერხებდა სახეში მოეხვედრებინა დარტყმა იგივე ხელით. ეს მართლაც რაღაც საოცარი სწაული იყო“ (კ. ნეპომნიაშჩი, „კრივი და მოკრივენი“).

რინგზე გადაადგილების სისწრაფეში კი ჯონსონი თვით „ბუმბულისა“ და „მამლის“ წონის მოკრივეებსაც კი არ უდებდა ტოლს.

ამერიკამ მისი გამარჯვება თეთრი რასის შეურაცხყოფად მიიჩნია და მაშინ მსოფლიოს ყოფილმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ჯიმ ჯეფრისმა გამოიწვია ჯონსონი.

„კალიფორნიელმა გიგანტმა“, ჯიმ ჯეფრისმა სახელოვნად განვლო თავისი საბრძოლო გზა. დაამარცხა არაერთი ძლიერი მოკრივე: ტომ შარკი, პიტერ ჯეკსონი და არაერთი მსოფლიოს კრივის ვარსკვლავი: ბობ ფიტსიმონსი, ჯიმ კორბეტი. ჩატარებული 21 ბრძოლიდან უმეტესობა ნოკაუტით მოიგო და დაუმარცხებლად დატოვა რინგი.

ჯეფრისის გადაულახავი ჰენდიკაპი ის გახლდათ, რომ იგი ხუთი წელი არ გამოსულიყო რინგზე (ჯეფრისი ფერმერი გახდა მას შემდეგ, რაც რინგი დატოვა), დამძიმდა კიდეც. ადრე იგი 100 კგ იწონიდა. ჯონსონთან ბრძოლის წინ კი 124 კგ-ს. თანაც იგი რამდენიმე წლით უფროსი იყო ჯონსონზე. მაგრამ მიუხედავად ამისა „ამერიკელთა იდეალი“ მაინც ითვლებოდა მსოფლიო კრივის ვარსკვლავად და მრისხანე მეტოქედ. ჯეფრისის ტექნიკური არსენალი არ იყო ისეთი მდიდარი, როგორიც შეჰფეროდა მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს, მაგრამ ის გამოირჩეოდა უჩვეულო ფიზიკური ამტანობით და გამანადგურებელი დარტყმით.

ჯეფრისი მრავალმხრივი სპორტსმენი იყო. ნადირობდა, ჰიდაობდა. გატაცებული იყო ჯიუ-ჯიცუთი. სპორტის სწორედ ამ სახეობას უნდა უმადლოდეს იგი, რომ მისი დაცვა ძნელად შესაღწევი გახლდათ.

ჯონსონისა და ჯეფრისის შეხვედრა კრივის ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი უდიადესი ბრძოლა. ეს იყო დიდი ფიზიკური ძალისა და ტექნიკის დემონსტრირება. ვთავაზობთ მკითხველებს ამ მატჩის დამსწრე ჟურნალისტის, ჟორჟ დიუპუის ანგარიშს, აქვე შევნიშნავთ, რომ ეს იყო დაუნდობელი შერკინება. ახლანდელი არამცთუ სამოყვარულო, არამედ პროფესიული კრივის წესების მიხედვითაც ბრძოლა უნდა შეწყვეტილიყო გაცილებით ადრე. დღევანდელი კრივის წესებით ყოვლად დაუშვებელია აგრეთვე, მოკრივეთა მიერ ერთმანეთის სიტყვიერი შეურაცხყოფა, სეკუნდანტების გამოხდომები და ა. შ. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ეს გახლდათ თანამედროვე კრივის წინმსწრები ხანა, კრივის ისტორიის ძველი პერიოდის დასასრული, როდესაც რინგზე ჯერ კიდევ დაშვებული იყო ასეთი უწესივრობანი, როცა კრივის მატჩებისათვის ნიშნადი გახლდათ ასეთი ულმობელი ხასიათი.

ედიშერ გიორგაძე,

საქართველოს კრივის ფედერაციის აგიტაციისა და პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე.

• • •

„ჩვენი დროის უდიადესი მატჩი შედგა ამერიკაში. მალაროელთა პატარა ქალაქ რენოში, 1910 წლის 4 ივლისს. სახელდახელოდ ააგეს უზარმაზარი ცირკი, რომელიც იტევდა 20000 მაყურებელს. ჯეფრისის დაჟინებითი მოთხოვნით რინგი საგრძნობლად შემცირდა. „კალიფორნიელმა გიგანტმა“ სპეციალური ნებართვა ითხოვა, რათა რინგის სახურავი მუქი წითელი ფერისა ყოფილიყო, მზეს რომ თვალები არ აეჭრა მისთვის. ჯეფრისისავე მოთხოვნით დაუშვეს ისიც, რომ რაუნდის მერე მოკრივეს ჩამოფარებოდა თეთრი ეკრანი. ჯონსონმა უარყო ეს პრივილეგია. ფილმს იღებდა 22 კინოოპერატორი და 150 ფოტო-რეპორტიორი. იქაურობა გავსებული იყო ჟურნალისტებით.

— აქ გაცილებით მეტი რეპორტიორია, ვიდრე რუსეთ-იაპონიის ომში იყო, — მითხრა ცნობილმა ამერიკელმა ბელეტრისტმა ჯეკ ლონდონმა, რომელიც ესწრებოდა ამ მატჩს. — კრივის მოყვარულებმა მსოფლიოს ყოველი კუთხიდან მოიყარეს თავი. ანე გასინჯეთ, არც ბილეთი ეძვირებათ, რომელიც 200 დოლარი ღირს.

დაიწყო ცერემონიალი. დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს დიდი მოკრივენი, ვეტერანები: ჯონ სულივანი და ჯიმ კორბეტი, მსოფლიო კრივის მშვენება ბობ ფიტსიმონსი, აგრეთვე, მრავალი ცნობილი მოკრივე: მარვინ ჰარტი, ტომი ბერნსი, ბილ ლანგი, ჯო ჩოინსკი, ჯიმი ბრიტი, სტენლი კეტჩელი, ებ ეტელი, ბობ არმსტრონგი და სხვანი. ორკესტრმა შეასრულა ამერიკული ეროვნული სიმღერა „იანკი-დუდლი“ და რინგზე ავიდნენ მატჩის მონაწილენი.

ჯონსონს აცვია მდიდრული ხალათი, საუცხოოდ მოქარგული შავი და თეთრი ნაყშებით. იგი იღიმის და ხალხს უჩვენებს ხალათს. ცოლმა მისახსოვრა ეს დიდებული მოსასხამიო, გაიძახის.

თავის კუთხეში პირქუშად ზის ბრგე ჯეფრისი და რეზინს ღეჭავს. იგი უარს ამბობს მისალმებაზე და ზანგის გაწვდილი ხელი ჰაერში რჩება. გონგი.

**პირველი რაუნდი.** მოკრივეები ასრულებენ საპარადო ცრუმოძრაობებს, ჩანს, თუ როგორი სწრაფია და მოქნილი ზანგი მოკრივე. შემდეგ გადაიხლართებიან. ჯონსონი ურტყამს გრძელ და ელვისებურ ჯებს (პირდაპირი დარტყმის ნაირსახეობა). ჯეფრისი ძალუმად შებოჭავს ჯონსონს, მაგრამ ეს უკანასკნელი დაუსხლტება. თეთრკანიანი შეარღვევს ზანგის დაცვას, საშინელი ძალით უქნევს მარცხენა ჰუკს, მაგრამ მეტოქე მკლავს იფარებს. კლინჩი (მოკრივენი ერთმანეთს გადაესკვნებიან). ახლა პირველი ჯეფრისი ითავისუფლებს თავს და ორ სვინგს ახვედრებს მეტოქეს ყბაში. ხალხი ტაშს უკრავს ჯეფრისს და ხმა გაკმინდეთო უყვირის ზანგებს, რომლებიც აგულიანებენ თვისტომს. ჯონსონს ისე უჭირავს თავი, ვითომდაც აქ არაფერიაო, ვითომდაც მას არ მოხვედროდეს ეს საშინელი დარტყმები. ხელჩართული ბრძოლა. კვლავ კლინჩი. გონგი.

**მეორე რაუნდი.** ჯონსონი კვლავ მხიარულ გუნებაზეა. — რად არ იცინით თქვენც, ჯიმ? — ეკითხება იგი ჯეფრისს. თეთრი მოკრივე კრაუჩს—დაბალ დაცვით დგომს—ირჩევს. ის ახლა მოფარიკავეს ჰგავს. „რაღაც მოხდება“, ისმის ხალხის ჩურჩული. ჯეფრისი მთელი ძალით უქნევს მეტოქეს გულმკერდში. ეს ჯეფის გადამწყვეტი დარტყმა გახლავთ. ზანგი კი არც განძრეულა. საპასუხო მარცხენა და მარჯვენა სვინგი ყბაში, მარჯვენა აპერკოტი, მარცხენა გრძელი ჯები. ჯეფრისი შექანდა და ტუჩი გაუსკდა. კლინჩი. ჯეფი პირველი იძვრენს თავს. ჰუკი და ახლა თავად უხეთქავს ჯონსონს ტუჩს. ჯეფრისი უტევს, ჯონსონი თავს იცავს და ორ ისეთ საპასუხოს მოუქნევს, ბათქანის ექო სადღაც შორს გაისმის. გონგი. ჯონსონი დამცინავად მხარზე ურტყამს ხელს ჯეფრისს.

**მესამე რაუნდი.** ჯონსონს ტუჩი მოუწყვეს. შევნიშნავთ: ამ წუთიდან, ვიდრე ბრძოლის დასასრულამდე ზანგი მოკრივე არ მიიღებს არც ერთ მწვავე დაზიანებას, მის სახეს არ დააჩნდება არც ერთი ტაბასტო. ბრძოლა გრძელდება. ჯეფრისის მთავარი სეკუნდანტი ჯიმ კორბეტი უხეშად ლანძღავს ჯონსონს. ორმაგი ჯები ჯონსონისა. შემდგომ კლინჩი. ჯეფი არ ცდილობს თავის დაღწევას. ჩანს ძალის მოკრება, განუზრახავს, ინფაიტინგი. ჯეფი და ჯონსონი თავი-თავს მიყრდნობილნი, ცდილობენ მოახვედრონ ერთმანეთს კორპუსში. ზანგი ჯაბნის თეთრკანიანს. ჯეფრისს ცხვირიდან სდის სისხლი. მარცხენა თვალი შეუშუპდა, ჯონსონი რინგის ბაწარს მიაწვება ზურგით. მუცელს არ იცავს. „გთხოვთ ჯიმ, მშვენიერი სამიზნეა, აბა, თამამად!“ ზანგს წყევლა-კრულვას უთვლიან აქეთ-იქიდან. ჯონსონი აირიდებს ორ ძლიერ ჰუკს და შეუტევს ჯეფრისს. გონგი.

**მეოთხე რაუნდი.** [illegible] წამოიჭრება და ურტყამს ზანგს. [illegible] დაბალ დგომს [illegible] საძილე არტერიაში ახვედრებს მუშტს. ჯონსონი კვლავინდებურად იღიმის. თვალებს მაღლა აღაპყრობს, ვითომდა შველას სთხოვს უფალს, მერე შებოჭავს თეთრ გოლიათს და დაითრევს. კორბეტის ლანძღვას გონებამახვილურად პასუხობს, აქილიკებს მას, მეგობრებთან ოხუნჯობს, მერე ხელის კვრით იშორებს ჯეფრისს. უყვირის, მომიახლოვდით ჯიმ, ვხედავ, ბევრი ვერაფერი შეგძლებიათო. დიდი ხელოვნებითა და სიფრთხილით იბრძვის ჯონსონი. ჯეფრისს გახეთქილი აქვს შუბლი და ლოყა. თავს ცუდად იცავს. სისხლი სდის. გონგი. ჯეფრისი კუთხეში ჯდება. სეკუნდანტები ხელით აძრობენ ორ კბილს, რომლებიც ზანგმა მოურყია და შამპანურს აწვდიან ჭიქით.

**მეხუთე რაუნდი.** მეტოქეები ეკვეთებიან ერთმანეთს. ჯეფრისი გრძელ ჯებს ახვედრებს ზანგს მარცხენა ყურის ძირში. მერე ორივე მუშტს შეატყუპებს თავის დასაცავად. მკლავის ვერტიკალური მოძრაობით არღვევს ზანგი თეთრკანიანის დაცვას და ძლიერად ურტყამს ნეკნებში. სანფრანცისკოელი უკან იხევს და მერე კი ჩაესკვნება ჯონსონს. ასე კიდეც იცავს თავს და კიდეც ისვენებს. რეფერი რიკარდი შენიშვნას არ აძლევს მას. ჯონსონი ძლივსძლივობით ითავისუფლებს თავს და უბიძგებს თეთრ გოლიათს. ჯეფი გარშემო უვლის ჯონსონს, ცდილობს კუთხეში მიიმწყვდიოს ზანგი. ამ დროს ძველი მოკრივე, ჯიმ კორბეტის ყოფილი მწვრთნელი, ბილ დელენი იყვირებს, ჯეფრისის ხელთათმანი გაიხაო, ბრძოლა წყდება 20 წამით. ყველაფერი რიგზე აღმოჩნდება. დელენს ეტყობა მოეჩვენა, რომ ხელთათმანი გასკდა. ჯეფს კი ამით დასვენების საშუალება მიეცა. მან ორჯერ ღრმად ამოისუნთქა, მაგრამ აქ მას მოუსწრებს ზანგის ძლიერი აპერკოტი. გონგი. თავდახრილი მიემართება ჯეფრისი კუთხისკენ და იმავე წამს მას გადაეფარება ტილოს ეკრანი.



ჯიმ ჯეფრისი

●

**მეექვსე რაუნდი.** დუნე, უხალისო, მოსაწყენი ბრძოლა. უბოლოო კლინჩი. ჯონსონი ეხუმრება ზანგ მაყურებლებს. ჯეფრისის სეკუნდანტები ცოფსყრიან. ხალხის ნაწილიც უკმაყოფილებას გამოთქვამს. „იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის“, გასძახებს ჯიმ კორბეტი ჯონსონს. ჯეფრისი მძიმე ნაბიჯებით უვლის გარს მეტოქეს და პირველად წარმოთქვამს ხმამაღლა: „ცბიერი მელა ბრძანდებით, შავკანიანო, მაგრამ იცოდეთ, ცოცხალი ვერ წამიხვალთ“. წინადადების დამთავრებას ვერ ასწრებს. ზანგის მუშტი ხვდება ცხვირპირში და ზედა ტუჩი უსკდება. მაყურებელი დუმს. უკანა რიგებში გაისმის რევოლვერის გასროლის ხმა. ეს ჯონსონს აფრთხილებენ. პოლისმენები აიშლებიან. ჯონსონს კი ღიმილი არ სცილდება სახიდან. ბრძოლა. კლინჩი. გონგი.

(დასასრული იქნება).



# ერთთვიანი შესვენების შემდეგ

**კვირას** ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე ერთთვიანი შესვენების შემდეგ განახლდება რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. როგორც ცნობილია, ეს შესვენება გამოწვეული იყო სსრ კავშირის ნაკრების მიერ ევროპის პირველობის უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი მატჩების გამართვით. საბჭოთა რეგბისტებმა ამოცანას თავი წარმატებით გაართვეს და კონტინენტის მორიგ ჩემპიონატში ისინი საფრანგეთის, რუმინეთის და სხვა აღიარებული ფავორიტების დავაში ჩაებმებიან. მანამდე კი საბჭოთა რეგბისტები გაარკვევენ საკავშირო პირველობის სამივე ხარისხის მედლების მფლობელთა ვინაობასა და გამართავენ სათასო შეხვედრებს.

**კვირას, 28 მაისს** თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ორი მატჩი მოეწყობა. 17 საათზე ითამაშებენ თბილისის „ელვა" და ლენინგრადის „პრიმორეცი", ხოლო 18 საათსა და 30 წუთზე მინდორზე გამოვლენ ჩვენი დედაქალაქის „ლოკომოტივი", რომელიც სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა და ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი.

# დაძაბული შეხვედრები

**ქუთაისი, 26 მაისი.** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ქალთა პირველობაში კიდევ ორი ტური (IV, V) გათამაშდა. 5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან თ. მესხი — 4 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. ჭირაქაძე (ორივე — ქუთაისი), მ. წერეთელი — 3-3 (2-2), ნ. მელაშვილი — 3 (1), ც. ქასოშვილი (გორი) — 3, ც. კობაიძე — 2,5 (2), თ. ხუგაშვილი, ც. კახაბრიშვილი, ქ. მელაშვილი (ყველა — თბილისი) — 2,5-2,5 (1-1), ლ. ფაჩუაშვილი (ქუთაისი) — 2,5.

IV ტურშიც წარმატებით ითამაშა მესხმა, რომელმაც ზედიზედ მეოთხე პარტია (თანაქალაქელ ი. აბზიანიძესთან) მოიგო. ქ. მელაშვილმა (თბილისი) დაამარცხა ფაჩუაშვილი, ლ. თანდაშვილმა — ნ. მუსერიძე (ორივე — თბილისი), ხუგაშვილმა — ხ. გურგენიძე (რუსთავი), ქასოშვილმა — ნ. შეყილაძე (ტყიბული), ჭირაქაძემ — ლ. ბელოხიიოროვა (თბილისი).

დაზავდნენ ნ. გოგია (ცხაკაია) და ნ.იმნაძე (მახარაძე).

გადაიდო წერეთელ — ნ. მელაშვილის და კობაიძე — კახაბრიშვილის პარტიები.

V ტურში დაუმთავრებელი დარჩა ლიდერთა შეხვედრები: მესხ[...] [...] წერეთლის—ხუ[...] [...] [...]შვილმა მოუგო [...] [...] ჭირაქაძემ — გ[...] გიას, ფაჩუაშვილმა — შეყილაძ[...] პირველი მარცხი იწვნია ქ. მელ[...] ვილმა მუსერიძესთან შეხვედრა[...] ყაიმით დამთავრდა ქასოშვილ[...] კობაიძის, ნ. მელაშვილ — თან[...] შვილისა და აბზიანიძე — გურ[...] ნიძის პარტიები.

ყაიმი იქნა ფიქსირებული კა[...] ბრიშვილ — თანდაშვილის (I ტ[...] რიდან) და ქასოშვილ — ქ. მე[...] შვილის (III ტურიდან) გადა[...] ბულ პარტიებში.

**ზ. გურაძ[...]**

პირველობის მთავარი მსა[...] რესპუბლიკური კატეგორი[...] მსაჯი.

ჭადრაკი

## გვეკითხებიან — ვპასუხობთ

# დიდოსტატი ქალები

**ჟ. ახვლედიანს** (ცაგერის რაიონი, სოფ. ცაგერი) აინტერესებს: რომელ მოჭადრაკე ქალებს აქვთ მინიჭებული სსრ კავშირის და საერთაშორისო დიდოსტატის წოდებები და როგორ შეიძლება ამ წოდებათა მიღება.

სსრ კავშირის დიდოსტატის წოდება მიკუთვნებული აქვს (1975 წელს) მხოლოდ ნ. გაფრინდაშვილს.

საბჭოთა დიდოსტატის წოდების მისაღებად საჭიროა: გახდე მსოფლიო ჩემპიონი; ან ექვსი წლის მანძილზე ორჯერ ითამაშო მატჩი მსოფლიო პირველობაზე, ან ერთხელ ითამაშო მატჩი მსოფლიო პირველობაზე და ორჯერ გახდე სსრ კავშირის ჩემპიონი, ანდა სამჯერ მოიპოვო სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული.

საერთაშორისო დიდოსტატის წოდება ფიდე-მ მიანიჭა (შემოიღო 1976 წელს) 24 მოჭადრაკეს: ნ. გაფრინდაშვილს, ლ. რუდენკოს, ე. ბიკოვას, ო. რუბცოვას, ნ. ალექსანდრიას, ე. ახმილოვსკაიას, ვ. ბორისენკოს, ლ. ვოლპერტს, კ. ზვორიკინას, ტ. ზატულოვსკაიას, ო. იგნატიევას, ვ. კოზლოვსკაიას, ნ. კონოპლიოვას, ი. ლევიტინას, ლიტინსკაიას, ე. ფატალიბეკოვ[...] მ. ჩიბურდანიძეს (ყველა — [...] კავშირი), მ. ლაზარევიჩს, ვ. ნე[...] ლკოვიჩს, ტ. შტადლერს (სა[...] — იუგოსლავია), ტ. ლემაჩ[...] (ბულგარეთი), ე. კელერ-გერ[...] (გდრ), ა. კუშნირს (ისრაელი) ფ. ჰეემსკერკს (ჰოლანდია).

საერთაშორისო დიდოსტატი რ[...] გახდე, საჭიროა მონაწილეობა მ[...] ლო პრეტენდენტთა მატჩებში, ან[...] საზონათშორისო ტურნირში მ[...] გროვო ქულათა ორი მესამედი.

## მძლეოსნობა

## იატაკქვეშელის ხსოვნისა

**ვინიცაში** გაიმართა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს მძლეოსანთა პირველობა, რომელიც კომკავშირელი იატაკქვეშელის, საბჭოთა კავშირის გმირის ლ. რატუშნაიას ხსოვნას მიეძღვნა. სარბიელზე ბულგარელი მძლეოსნებიც გამოვიდნენ.

წარმატებას მიაღწია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ს. ჟუნბამ, რომელმაც ქალთა შორის შუბის ტყორცნაში 54,44 მეტრი აჩვენა და არა მარტო პირველი ადგილი მოიპოვა, არამედ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. მის გარდა ამ შეჯიბრებაზე ოსტატობის ზღვარი პირველად კიდევ 11 მონაწილემ გადალახა, ხოლო ლენინგრადელმა ა. კლიმენკომ ბადროს ტყორცნაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. 110 მეტრზე თარჯრბენში მოსკოველმა ა. ტიტოვმა ნახევარფინალში 13,8 წამი აჩვენა, ხოლო ფინალში გამარჯვებულმა ლვოველმა ს. კუზევმა — 13,9.

გუნდური პირველობა კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა მოიგეს.

**მ. სამადაშვილი.**

## ხელბურთი

**სსრ კავშირის** ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდის გფრ-ის ქალაქ ხიუტენბერგში ადგილობრივ გუნდთან გამარჯვების შესახებ უკვე ვიტყობინებოდით. საბჭოთა ხელბურთელებმა კიდევ ოთხი მატჩი გამართეს და ოთხივეში გაიმარჯვეს: ეპელგეიმში ანგარიშით 32:24, ოფენბურგში — 30:17, გრისხეიმში — 29:16 და დიტცენბახში 26:14.

**ბაქოში** ხელბურთელ ქალთა გუნდების უმაღლესი ლიგის ფინალური ტურნირის დამთავრებამდე კიევის „სპარტაკმა" მეათედ ზედიზედ მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედლები. ეს გახდა ცნობილი მას შემდეგ, რაც ჩემპიონებმა დაამარცხეს უმაღლესი ლიგის დებიუტანტი ვილნიუსის „ეგლე" — 32:13.

## კალათბურთი

**პოლონეთის** ქალაქ პოზნანში მიმდინარეობს ევროპის XVI ჩემპიონატის ფინალური თამაშები, რომელშიც სსრ კავშირის, საფრანგეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბულგარეთისა და პოლონეთის გუნდები მონაწილეობენ. პირველი ორი მატჩი საბჭოთა კალათბურთელებმა მოიგეს: ჯერ ბულგარელებთან — 89:63, ხოლო შემდეგ სძლიეს მანამდე დაუმარცხებელ იუგოსლაველებს — 116:78 და შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ.

# დაკარგული ორი ქულა

**სამტრედიის** „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა ბალახის ჰოკეიში ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა I ლიგის გუნდებს შორის. ქუთაისის „ლოკომოტივმა" ლენინსკის „სტარტს" უმასპინძლა.

პირველ დღეს ანგარიში არ გახსნილა. ამ გუნდების განმეორებით შეხვედრაშიც ფრე (1:1) აღინიშნა. გოლები გაიტანეს ქუთაისელმა ე. ტალაბაძემ და ლენინსკელმა ვ. კორნეევმა.

ქუთაისელებმა შინ ორი ქულა დაკარგეს. ისინი მორიგ შეხვედრებში (28-29 მაისს) ტაშკენტის „პოლიტექნიკს" მიიღებენ.

**ლ. ფაჩუაშვილი.**
(ტელეფონით).

## ჭიდაობა

## თბილისელ ფალავანთა უპირატესობით

**ქართული** ჭიდაობის დიდი სარგებლობის შესახებ არაერთხელ ითქვა და დაიწერა. ჭიდაობის ამ ეროვნული სახეობის ჩინებულმა ცოდნამ დიდი წარმატება მოუტანა საქართველოს ფალავნებს საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

სასიხარულოა, რომ ერთ დროს მივიწყებული სპორტის ეს რაინდული სახეობა აღორძინების გზაზე დგება. უთუოდ მისასალმებელი იყო ჩვენი რესპუბლიკის პირადგუნდური ჩემპიონატის მოწყობა ქართულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, რომელიც მახარაძეში გაიმართა. ეს შეჯიბრება იმითაც იყო ნიშანდობლივი, რომ მასში თბილისის, აჭარის, ახმეტის, გარდაბნის, ზესტაფონის, ხაშურის, ლენტეხის გუნდებთან ერთად ცხაკაიას, მახარაძისა და ჩოხატაურის ახალგაზრდა სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. როგორც ჩანს, მახარაძეში (მწვრთნელი გ. დვალიშვილი) და ცხაკაიაში (მწვრთნელი ი. ნარმანია) სერიოზულად მოეკიდნენ ახალგაზრდა მოჭიდავეების დაოსტატების საქმეს. კარგი იქნება, თუ მათ მაგალითს დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებიც მიბაძავენ.

წონითი კატეგორიების მიხედვით რესპუბლიკის 1978 წლის ჩემპიონები გახდნენ: შ. ტალახაძე, თ. ჯალალი, ზ. გოგინაშვილი, გ. აკოფოვი, ვ. გუგავა, დ. დავითაშვილი (ყველა — თბილისი), ო. კინწურაშვილი (ცხაკაია), გ. კოხოძე (თბილისი).

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის ნაკრებმა, მეორე ადგილზეა მახარაძის, ხოლო მესამეზე — ჩოხატაურის გუნდი.

**შ. ქორიძე.**

## ჩოგბურთი

**ცნობილმა** არგენტინელმა ჩოგბურთელმა გ. ვილასმა გფრ-ის ღია ჩემპიონატში გაიმარჯვა, როცა ფინალში დაამარცხა პოლონეთის მრავალგზის ჩემპიონი ვ. ფიბაკი 6:2, 6:4, 6:2. ქალთა შორის პირველი პრიზი მოიპოვა ევროპის ჩემპიონმა მოყვარულთა შორის, იუგოსლაველმა მ. იასოვიჩმა, რომელმაც ფინალში სძლია რუმინელ ვ. რუზიჩს — 6:2, 6:3.

**ამერიკის** ქალაქ დალასში ჩატარდა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ჩემპიონატი, რომელშიც რვა სპორტსმენი გამოდიოდა, არ იყო მხოლოდ ამერიკელი ჯ. კონორსი. მას შემდეგ, რაც ტრავმის გამო შეჯიბრებას გამოაკლდა უიმბლდონის ტურნირის ორგზის გამარჯვებული შვედი ბ. ბორგი, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკელები — ვ. გერულაიტისი და ე. დიბსი. 24 წლის გერულაიტისმა დამაჯერებლად გაიმარჯვა — 6:3, 6:2, 6:1.

# 1978 წლის 26 მაისს

დაიწყო ოლიმპიური ნივთ[...] ბისა და ფულადი ლატარ[...] „სპრინტის" სპეციალური გ[...] მოშვების ორი მილიონი ბ[...] ლეთის გაყიდვა (ბილეთის ღირ[...] ბულება 1 მანეთი) ამ სერიის მ[...] გების ფონდი ერთი მილიონი მან[...] თია, რაც საერთო ღირებულებ[...] 50 პროცენტს შეადგენს.

335372 მოგებიდან 21 მსუბ[...] ავტომანქანაა. მათ შორის, „ვო[...] გა" გაზ-24 — 3, სხვადასხვა [...] რკის „ჟიგული" — 10, „მოსკვი[...] — 412 — ოთხი, „ზაპოროჟე[...] 968-ა — ოთხი. ამის გარდა გ[...] მაშლება სხვადასხვა მარკის ექ[...] მოტოციკლი.

ლატარიით გათამაშდება [...] რეთვე, ფულადი მოგებები შ[...] დები ოდენობით: 10000, 500[...] 1000, 500, 100, 50, 25, 10 და [...] მანეთი.

ყველაზე მცირე მოგება ლატარ[...] „სპრინტის" ბილეთის ხელმეორ[...] ყიდვის უფლებას იძლევა. მოგებ[...] ლი თანხა 25 მანეთის ჩათვლ[...] ადგილზე გამავრცელებლების მი[...] ნაზღაურდება. 50 მანეთს ზევ[...] ანაზღაურებს ყველა ცენტრალურ[...] და პირველი თანრიგის შემნახველ[...] სალარო, სადაც ამ სერიის „სპრინ[...] ტის" ბილეთები გაიყიდა.

მოქალაქეებმა, რომლებსაც ნ[...] სერიის ბილეთები დარჩათ (25 მ[...] ნეთამდე), დაუყოვნებლივ უნ[...] გამოცვალონ, ანდა მიიღონ მოგ[...] ული თანხა 1978 წლის 30 ივნის[...] 15 საათამდე. აღნიშნული ვადის [...] სვლის შემდეგ პრეტენზიები [...] მიიღება.

ოლიმპიურ ლატარია „სპრინ[...] თან" დაკავშირებული ყველა გ[...] რკვეველი საკითხის შესახებ შეგ[...] ლიათ მიმართოთ „სპორტლოტ[...] რესპუბლიკურ სამმართველოს. მ[...] სამართით: ინდექსი 380019, თბ[...] ლისი, ელიავას ქ. № 26, ტე[...] 95-38-00.

**საქსპორტლოტო**

რედაქტორის მოადგი[...]
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-58-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-58; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-63; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-64; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.